

ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების  
ლონისძიებათა შესახებ

"სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. შპს "რუსთავწყალკანალის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაეცეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "Multiplex Energy Limited"-ს (შემდეგში - მყიდველი) 10 000 000 (ათი მილიონი) აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად, თანხის გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, შემდეგი პირობით:

საპრივატიზებო თანხის 50% გადაიხადოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 კალენდარულ დღეში, ხოლო დარჩენილი 50% - პირველი ტრანშის გადახდიდან 21 კალენდარულ დღეში.

2. შპს "საქწყალკანალის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი და შპს "მცხეთაწყალკანალის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაეცეს მყიდველს 662 000 (ექვსას სამოცდაორი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად, თანხის გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, შემდეგი პირობებით:

ა) საპრივატიზებო თანხის 50% გადაიხადოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 კალენდარულ დღეში, ხოლო დარჩენილი 50% - პირველი ტრანშის გადახდიდან 21 კალენდარულ დღეში;

ბ) გაუმრიცხველიანებელი მოსახლეობის (ქ. მცხეთა) სასმელი წყლის მიწოდებისა და ჩანადენი სითხის გატარება-გაწმენდის მომსახურების ტარიფი ერთ სულ მოსახლეზე განისაზღვროს არა უმეტეს შემდეგი ოდენობისა: 2008 წელს - 2,4; 2009 წელს - 2,6; 2010 წელს - 2,95; 2011 წელს - 2,95; 2012 წელს - 2,95; 2013 წელს - 2,95; 2014 წელს - 3,3; 2015 წელს - 3,5; 2016 წელს - 3,7; 2017 წელს - 3,9; 2018 წელს - 4,1 (თანხა მითითებულია ლარობით, დღგ-ს ჩათვლით);

გ) გამრიცხველიანებული მოსახლეობის (ქ. მცხეთა) სასმელი წყლის მიწოდებისა და ჩანადენი სითხის გატარება-გაწმენდის მომსახურების ტარიფი ერთ კუბურ მეტრზე განისაზღვროს არა უმეტეს შემდეგი ოდენობისა: 2008 წელს - 0,10; 2009 წელს - 0,22; 2010 წელს - 0,25; 2011 წელს - 0,25; 2012 წელს - 0,25; 2013 წელს - 0,25; 2014 წელს - 0,28; 2015 წელს - 0,297; 2016 წელს - 0,313; 2017 წელს - 0,33; 2018 წელს - 0,347 (თანხა მითითებულია ლარობით, დღგ-ს ჩათვლით);

დ) ამ განკარგულების მე-2 პუნქტის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით დადგენილი ტარიფების გადახედვა დასაშვებია ელექტროენერჯის ტარიფის ცვლილების შემთხვევაში, რაც გავლენას მოახდენს წყალმომარაგების საექსპლუატაციო დანახარჯებზე ან სახელმწიფოს მიერ წყალაღებაზე არსებული მოსაკრებლის ცვლილების შემთხვევაში;

ე) მოსახლეობის გარდა, ყველა მომხმარებლისათვის (ქ. მცხეთა) ერთი კუბური მეტრი სასმელი წყლის მიწოდებისა და ჩანადენი სითხის გატარება-გაწმენდის მომსახურების ტარიფი 2008 წლიდან 2018 წლის ჩათვლით დარჩეს უცვლელი, კერძოდ, 4,40 ლარი (დღგ-ს ჩათვლით);

ვ) წყლის ხარისხი მუდმივად შეესაბამებოდეს "ჯანმოს" (World Health Organization) ტექნიკურ რეგლამენტს, მაგრამ არ იყოს მცხეთაში დღეს არსებულზე უარესი;

ზ) მცხეთის წყლით მომარაგება 2011 წლიდან და შემდეგ იყოს უწყვეტი (24-საათიანი), მაგრამ 2011 წლამდე არ იყოს მცხეთაში დღეს არსებულზე უარესი;

თ) მცხეთაში მომხმარებელთათვის კოლექტიური მრიცხველების დამონტაჟება დასრულდეს 2015 წლისათვის;

ი) ამ პუნქტის "ბ", "გ", "დ", "ე" და "ვ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დებულებები ვრცელდება იმ პირებზეც, რომელთაც შპს "მცხეთაწყალკანალი" მომსახურებას უწევდა ამ განკარგულების ამოქმედების დროისათვის;

კ) გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 წელიწადში;

ლ) გარდაბნის საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია და ახალი საკოლექტორო სისტემა შეიქმნას ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წელიწადში;

მ) კონკრეტული ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად წარმოადგინოს ხელშეკრულების გაფორმებისას ბანკის მიერ გაცემული 5 000 000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის მხარეთა შორის შეთანხმებული გამოუხმობადი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა და კონკრეტული ნაკისრი ვალდებულებები,

რომელთა შესრულების უზრუნველყოფის მიზნით იქნა წარმოდგენილი საბანკო გარანტია, ასევე გარანტიის გამოყენების წესი, განსაზღვრული იქნება ხელშეკრულებით.

3. ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შპს "თბილისის წყლის" 100% წილი გადაეცეს მყიდველს პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 85 000 000 (ოთხმოცდახუთი მილიონი) აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად, თანხის გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, შემდეგი პირობებით:

ა) საპრივატიზებო თანხის 50% გადაიხადოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 კალენდარულ დღეში, ხოლო დარჩენილი 50% - პირველი ტრანშის გადახდიდან 21 კალენდარულ დღეში;

ბ) გაუმრიცხველიანებელი მოსახლეობის სასმელი წყლის მიწოდებისა და ჩანადენი სითხის გატარება-გაწმენდის მომსახურების ტარიფი ერთ სულ მოსახლეზე განისაზღვროს არა უმეტეს შემდეგი ოდენობისა: 2008 წელს - 2,4; 2009 წელს - 2,6; 2010 წელს - 2,95; 2011 წელს - 2,95; 2012 წელს - 2,95; 2013 წელს - 2,95; 2014 წელს - 3,3; 2015 წელს - 3,5; 2016 წელს - 3,7; 2017 წელს - 3,9; 2018 წელს - 4,1 (თანხა მითითებულია ლარობით, დღგ-ს ჩათვლით);

გ) გამრიცხველიანებული მოსახლეობის სასმელი წყლის მიწოდებისა და ჩანადენი სითხის გატარება-გაწმენდის მომსახურების ტარიფი ერთ კუბურ მეტრზე განისაზღვროს არა უმეტეს შემდეგი ოდენობისა: 2008 წელს - 0,1; 2009 წელს - 0,22; 2010 წელს - 0,25; 2011 წელს - 0,25; 2012 წელს - 0,25; 2013 წელს - 0,25; 2014 წელს - 0,28; 2015 წელს - 0,297; 2016 წელს - 0,313; 2017 წელს - 0,33; 2018 წელს - 0,347 (თანხა მითითებულია ლარობით, დღგ-ს ჩათვლით);

დ) ამ განკარგულების მე-3 პუნქტის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით დადგენილი ტარიფების გადახედვა დასაშვებია ელექტროენერჯის ტარიფის ცვლილებების შემთხვევაში, რომელიც გავლენას მოახდენს წყალმომარაგების საექსპლუატაციო დანახარჯებზე, ან სახელმწიფოს მიერ წყალადებაზე არსებული მოსაკრებლის ცვლილების შემთხვევაში;

ე) მოსახლეობის გარდა, ყველა სხვა მომხმარებლისათვის სასმელი წყლის მიწოდებისა და ჩანადენი სითხის გატარება-გაწმენდის მომსახურების ტარიფი ერთ კუბურ მეტრზე 2008 წლიდან 2018 წლის ჩათვლით დარჩეს უცვლელი, კერძოდ, 4,40 ლარი (დღგ-ს ჩათვლით);

ვ) წყლის ხარისხი მუდმივად შეესაბამებოდეს "ჯანმოს" (World Health Organization) ტექნიკურ რეგლამენტს, მაგრამ არ იყოს ქალაქ თბილისში დღეს არსებულზე უარესი;

ზ) ქალაქის წყლით მომარაგება ძველი საზღვრების ფარგლებში (26.12.06 წლის მდგომარეობით) 2011 წლიდან და შემდეგ იყოს უწყვეტი (24-საათიანი), მაგრამ 2011 წლამდე არ იყოს ქალაქ თბილისში დღეს არსებულზე უარესი;

თ) ქალაქის წყლით მომარაგება ახალი საზღვრების ფარგლებში 2015 წლიდან და შემდეგ იყოს უწყვეტი (24-საათიანი), მაგრამ 2015 წლამდე არ იყოს ქალაქ თბილისში დღეს არსებულზე უარესი;

ი) აღმოიფხვრას მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინება ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არა უგვიანეს 2012 წლისა;

კ) კორპუსების გამრიცხველიანება (კოლექტიური მრიცხველები) დასრულდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს 4 წელიწადში;

ლ) მრავალბინიანი სახლების გამრიცხველიანება (კოლექტიური მრიცხველები) დასრულდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს 7 წელიწადში;

მ) პირველი 5 წლის მანძილზე უზრუნველყოფილ იქნეს ჟინვალის წყალსაცავიდან წყლის მიწოდება წყალმომარაგების სათავეებზე არა ნაკლებ 30 კუბ.მ წამში მთელი წლის განმავლობაში;

ნ) ამ პუნქტის "ბ", "გ", "დ", "ე" და "ვ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დებულებები და მომსახურებით უზრუნველყოფის ვალდებულება ვრცელდება როგორც ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ მომხმარებელზე, ისე იმ პირებზეც, რომელთაც შპს "თბილისის წყალი" მომსახურებას უწევდა ამ განკარგულების ამოქმედების დროისათვის;

ო) კონკრეტული ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად ხელშეკრულების გაფორმებისას წარმოადგინოს ბანკის მიერ გაცემული 10 000 000 (ათი მილიონი) აშშ დოლარის მხარეთა შორის შეთანხმებული გამოუხმობადი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა და კონკრეტული ნაკისრი ვალდებულებები, რომელთა შესრულების უზრუნველყოფის მიზნით იქნა წარმოდგენილი საბანკო გარანტია, ასევე გარანტიის გამოყენების წესი, განსაზღვრული იქნება ხელშეკრულებით.

4. დარგის განვითარებისა და საქმიანობის წარმატებით წარმართვის მიზნით, მყიდველს უფლება აქვს შემოიყვანოს ოპერატორი, რომელიც განახორციელებს საწარმოთა ეფექტიან მართვას და რომელსაც აქვს ანალოგიური საწარმოების მართვის სათანადო გამოცდილება.

5. ამ განკარგულების მიზნებისათვის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში გარემოსდაცვითი

ღონისძიებების განხორციელების შესახებ გეგმა შეიმუშაოს ინვესტორის დახმარებით, რათა ინვესტორს არ დაეკისროს ისტორიული დაბინძურების პასუხისმგებლობა.

6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს "შპს "საქწყალკანალის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის, შპს "მცხეთაწყალკანალის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილისა და შპს "რუსთავეწყალკანალის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 23 ნოემბრის N685 და "შპს "თბილისის წყლის" ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული 100% წილის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის N702 განკარგულებები.

7. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ (ე. შარაშიძე) და ქალაქ თბილისის მერიამ (გ. უგულავა) ამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

მიხეილ სააკაშვილი